კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	IVდ კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	რევაზ ინანიშვილის ,,მირანდუხტ”
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	დაზოგვა, ბიუჯეტირება,
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	1. კეთებით სწავლება {ზუსტი ინსტრუქციის მიწოდებით პრაქტიკულ დავალებაზე მუშაობა.} ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწავლეებმა დაამზადეს აპლიკაციები გაკვეთილის თემის შესაბამისად; 2. როლური თამაში {მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება, მოირგეს როლები, რითაც კიდევ უფრო სიღრმისეულად გაითავისეს პერსონაჟთა ხასიათი და ეპოქა}

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	**გაკვეთილის მიზანი**: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაგება- გააზრება- გაანალიზება, ტექსტზე დაკვირვებით იმსჯელებენ პერსონაჟთა დამახასიათებელ თვისებებზე. იმსჯელებენ იმ შედეგზე, რომელიც გამოიღო მირანდუხტის ქცევამ და რა იყო გოგონას ასეთი მოქმედების მიზანი. მოსწავლეებმა უნდა გამოიმუშავონ ურთიერთთანამშრომლობის, დასკვნების გამოტანისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, მოირგებენ როლებს და გაითამაშებენ სიტუაციას; დაფიქრდებიან, როგორ მართონ თავიანთი ფინენსები გეგმაზომიერად და ეკონომიურად. გაკვეთილის ხანგრძლივობა- 2 სთ **მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები.** (საერთო/საკლასო, ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა.) I ეტაპი 1 წაკითხვამდე მოსწავლეებისთვის განწყობის შექმნა/წინარე ცოდნა თემასთან დაკავშირებით. მაპროვოცირებელი შეკითხვები: 1) ვინ არის რევაზ ინანიშვილი და რა ვიცით მისი ბიოგრაფიიდან? 2) რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა მწერალი და რა ვიცით ამ ეპოქის შესახებ? 3) გაიხსენეთ, რომელი მოთხრობები შევისწავლეთ ან წავიკითხეთ რევაზ ინანიშვილისა? 4) რომელმა მოთხრობამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება და რატომ? (გაიხსენებენ და შეაფასებენ. მაგ: ,,უკუღმა დაჭედილი'', ,,საცოდავი თრიები'', ,,განთავისუფლება'', ,,დამრიგებელი'', ,,ბებერი ბუები''... 5) თქვენ იცით, რომ არსებობს საგანთშორისი კავშირები, ე. ი. ორ საგანს შორის კავშირი. მაგ: ქართული ენა და ბუნება; ქართული ენა და მათემატიკა; ქართული ენა და ხელოვნება და ა. შ. 6) ვიცით, რომ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს მათემატიკა შეისწავლის. დაფიქრდით, შეიძლება თუ არა ფინანსების შესწავლა ლიტერატურით? II ეტაპი 2.კითხვის დროს ტექსტის კითხვა პაუზებით; გაგრძელებითი კითხვის სტრატეგია; ტექსტის გაგება- გააზრება ეპიზოდების მიხედვით; კითხვის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მეოცე საუკუნეში მოქმედ ფულის ერთეულებს- მანეთი, კაპიკი. პარალელურად ვსვამთ ფაქტობრივ კითხვებს III ეტაპი 2.კითხვის შემდეგ როლური თამაში- ტექსტის გაგება-გააზრება-გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები ინაწილებენ როლებს: გერონტი, მირანდუხტ, მოხუცი ბებო; წარმოადგენენ ინსცენირებას. ჯგუფური მეცადინეობისას დაამზადებენ აპლიკაციებს მოთხრობიდან და შექმნიან პლაკატს ,,მაღაზია''. შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება; რამდენად ხარისხიანად წარმოადგინეს პრეზენტაცია და ნამუშევრები და სრულყოფილად იყვნენ თუ არა ჩართულნი აღნიშნულ პროცესში: კი არა ნაწილობრივ

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მოსწავლეებმა შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება- გაანალიზება, ტექსტზე დაკვირვებით იმსჯელეს პერსონაჟთა დამახასიათებელ თვისებებზე. იმ შედეგზე, რომელიც გამოიღო მირანდუხტის ქცევამ, რა იყო გოგონას ასეთი მოქმედების მიზანი. მოსწავლეებმა გამოიმუშავეს ურთიერთთანამშრომლობის, დასკვნების გამოტანისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, მოირგეს როლები და გაითამაშეს სიტუაცია; დაფიქრდნენ, როგორ მართონ თავიანთი ფინენსები გეგმაზომიერად და ეკონომიურად.